ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.29/10/043

ქ. თბილისი

16 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის ირმა ზავრადაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თბილსერვის ჯგუფი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ნაჩენების მართვის სამსახურის უფროსის **ზურაბ გვენცაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის 12.04.2018წ. №ბ32.01181021 ბრძანების საფუძველზე, გამგეობის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების განადგურება-დამარხვის მომსახურება ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე (შემდგომში მომსახურება).

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV90513300 - მომსახურებები ნარჩენების ინსინერაციის/დაწვის/განადგურების სფეროში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2 ერთი ტონა საქონლის განადგურება-გაუვნებელყოფის მომსახურების ღირებულება შეადგენს 23,26 ლარს დღგ-ს ჩათვლით, თუ დადგინდება, რომ გასანადგურებელი-გაუვნებელყოფას დაქვემდებარებული საქონლის წონა შეადგენს 1 ტონაზე ნაკლებს, შემსყიდველი იხდის ერთი ტონის მომსახურების საფასურს.

3.3 გასანადგურებელი-გაუვნებელყოფას დაქვემდებარებული საქონლის სავარაუდო წონა შეადგენს **5(ხუთი)** ტონას. შესაბამისად, ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს **116,3(ასტექვსმეტი ლარი და 30 თეთრი) ლარს.**

4. გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ დროულად და ხარისხიანად განახორციელებს ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევ მომსახურებას.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლ(ებ)ს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი გაწეულ მომსახურებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

5.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:

ლალი ჭელიძე - გამგებლის მოადგილე,

თამარ მაისურაძე - დიდუბის რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონი.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

6.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო დოკუმენტაცია).

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტში ფიქსირდება ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ფაქტიურად შეტანილი და განადგურებას დაქვემდებარებული საქონლის საერთო რაოდენობა.

7.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

8.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

8.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღეში.

8.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

9. ფასები

9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისა-თვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ს.

11.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

გ) თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ

13.4 შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტ-ტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ელექტრონული ფოსტის სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16.3 მიმწოდებელს ინფორმაცია შესაძლებელია ასევე გადაეცეს ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ. №2619050)

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან- 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან, ორი პირი მიმწოდებელთან).

19.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დიდუბის რაიონის გამგეობა	შპს „თბილსერვის ჯგუფი“
მის: თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. №1	მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67
საიდენტიფიკაციო კოდი: 202171167	ს/კ : 206267494
ქ. თბილისი, `სახელმწიფო ხაზინა“	ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი" ც/ფ
კოდი TRESGE22	ბანკის კოდი: LBRTG22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა №GE90LB0113172770216000
ტელ: +995 32 2 381 776	ტელ. +2619050
	საყოფაცხოვრებო ნაჩენების მართვის სამსახურის უფროსი
---------- ირაკლი ბავრადაშვილი	---------- ზურაბ გვენცაძე

ხელწერილი

ქ.თბილისი 16 აპრილი 2018 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის 16 აპრილს გაფორმებული N10.29/10/043 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამგეობის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების განადგურება-დამარხვის ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი ი. ზავრადაშვილი

გამგებლის მოადგილე ლ. ჭელიძე

გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი თ. მაისურაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
დიდუბის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
DIDUBE DISTRICT GOVERNMENT

ბრძანება: **ბ32.01181021**

თარიღი: **12.04.2018**

ბრძანება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 მარტის განკარგულებით ჩამოწერილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების განადგურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 01 ნოემბრის N26-82 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის ტიპური დებულების (დანართი 1) მე-2 მუხლის „კ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების განადგურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 მარტის N18.167.298 განკარგულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განადგურდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტებით განსაზღვრული ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი ინვენტარი (გასანადგურებელი ქონების ჩამონათვალი თან ერთვის ბრძანებას (დანართი #1 და დანართი #2)

2. ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ქონების განადგურების პროცესის ორგანიზება დაევალოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რაიონის გამგებლის მოადგილეს ლალი ჭელიძეს და მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელს (განყოფილების უფროსს) თამარ მაისურაძეს;

3. დაევალოთ: მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელს (განყოფილების უფროსს) თამარ მაისურაძეს და გამგეობის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს - ნანა ნასყიდაშვილს ქონების განადგურების პროცესზე დასწრება და შესაბამისი ოქმის შედგენა;

4. დაევალოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მეორადი სტრუქტურული ერთეულს - საბიუჯეტო, საფინანსო და შესყიდვების განყოფილებას (ლ. ტყებუჩავას) ქონების განადგურებისთვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება;

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რაიონის გამგებლის მოადგილეს ლალი ჭელიძეს;

ბრძანების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7).

დიდუბის რაიონის გამგეობა - პირველადი
სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (გამგებელი)

ირმა ზავრადაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
დიდუბის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
DIDUBE DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **32-0118106613**

თარიღი: **16.04.2018**

ადრესატი:
ირმა ზავრადაშვილი
დიდუბის რაიონის გამგეობა - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

ქალბატონო ირმა,

მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის #ბ32.01181021 ბრძანების საფუძველზე განადგურებას დაექვემდებარა დიდუბის რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონება, როგორც ძირითადი საშუალებები, ასევე მცირეფასიანი ინვენტარი. აღნიშნული სამუშაოს განსახორციელებლად საჭიროა შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფ-"მა გამოყოს ადგილი ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე.

გთხოვთ, საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილებას დაავალოთ მოამზადოს საჭირო დოკუმენტაცია აღნიშნული პროცედურების ჩასატარებლად და ხელშეკრულება გააფორმოს შ.პ.ს ,,თბილსერვის ჯგუფი"-თან თანხით 116,3 ლარი. ხელშეკრულების ვადად განისაზღვროს 15 სამუშაო დღე.

პატივისცემით,

დიდუბის რაიონის გამგეობა -
საორგანიზაციო განყოფილება - მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(განყოფილების უფროსი)

თამარ მაისურაძე